

უნარების ტესტის ნიმუში

ანალოგია:

ინსტრუქცია:

„ქვემოთ ჩამოთვლილ სიტყვათა წყვილებს შორის არსებობს გარკვეული კავშირი. განსაზღვრეთ, რა სახის მიმართება/კავშირი არსებობს გამუქებულ სიტყვებს შორის. შემდეგ ჩამოთვლილ ოთხ სავარაუდო პასუხს შორის უნდა ამოარჩიოთ ისეთი სიტყვათა წყვილი, რომელშიც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის კავშირი ემთხვევა გამუქებულ სიტყვათა წყვილს შორის კავშირს.

ნიმუში

ძუმღმწოვარი – ძაღლი

ა) არწივი – ძერა

ბ) ფრინველი – მერცხალი

გ) ლომი – ბოკვერი

დ) ფრინველი – ბარტყი

ნიმუშის განმარტება

როგორც ჩვენ ვხედავთ, სიტყვების გამუქებულ წყვილს შორის არსებობს შემდეგი სახის მიმართება: „ძუმღმწოვარი“ არის გარკვეული კატეგორია, რომელიც შემადგენლობაშიც შედის ძაღლების კლასი. თუ დავუკვირდებით ქვემოთ ჩამოთვლილ სიტყვებს, დავინახავთ, რომ ანალოგიური მიმართება არსებობს „ბ“ პასუხში: „ფრინველი“ არის გარკვეული კატეგორია, რომლის შემადგენლობაშიც შედის მერცხლების კლასი. ხოლო დანარჩენი სავარაუდო პასუხები მცდარია, რადგან:

ა) არწივი და ძერა ფრინველების წარმომადგენლები არიან და ამ შემთხვევაში მიმართება კატეგორია – კლასი არ არის სწორი.

გ) ბოკვერი არის ლომის ნაშიერი და ამ შემთხვევაშიც მიმართება კატეგორია – კლასი არ არის სწორი.

დ) ბარტყი ფრინველის ნაშიერია და ამ შემთხვევაშიც მიმართება კატეგორია – კლასი არ არის სწორი.

1. ნორმა – დარღვევა

ა) უკიდუგანო-უკიდურესი

ბ) გრიგალი-სიო

გ) მკურნალობა- ავადმოყოფობა

დ) ლიბერალი-ავტორიტარი

2. ორკესტრი-დირიჟორი

ა) ჯადოქარი-ჯადო

ბ) გუნდი-მწვრთნელი

გ) მასა-ჯგუფი

დ) სკოლა-მოსწავლე

ლოგიკა:

ინსტრუქცია

ქვემოთ მოცემულ დავალებებში პირობაში მოცემული დებულებები არის ჭეშმარიტი. თქვენ უნდა განსაზღვროთ, მოცემული პირობიდან ლოგიკურად რომელი სავარაუდო პასუხი გამომდინარეობს.

ნიმუში

პირობა:

მხოლოდ ძუძუმწოვრებს აქვთ ხერხემალი.

თევზი ძუძუმწოვარია.

მოცემული პირობიდან რომელი სავარაუდო პასუხი გამომდინარეობს?

- ა) ზოგიერთ ძუძუმწოვარს არ აქვს ხერხემალი;
- ბ) თევზს აქვს ხერხემალი;**
- გ) ზოგიერთი ხერხემლიანი არ არის ძუძუმწოვარი;
- დ) შეუძლებელია, თევზს ხერხემალი ჰქონდეს.

ნიმუშის განმარტება

პირობის პირველი ნაწილი გვეუბნება, რომ ხერხემალი მხოლოდ ძუძუმწოვრებს გააჩნია, რადგან თევზი ძუძუმწოვარია (პირობის მეორე ნაწილის მიხედვით) ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ „ბ“ პასუხი – თევზს აქვს ხერხემალი – სწორია: **რადგან ხერხემალი მხოლოდ ძუძუმწოვრებს აქვს, თევზს აუცილებლად ექნება ხერხემალი.**

1. მოცემულია, რომ:

- ყველა გრძელთმიანი გოგო ბუღალტერია.
- ყველა ბუღალტერი მუშაობს ბანკში.
- არცერთი ბანკი არ არის დიდ ქალაქში.

რომელი დებულება გამომდინარეობს?

ა) ბანკში მხოლოდ გრძელთმიანი გოგოები მუშაობენ .

ბ) ყველა ბუღალტერი გრძელთმიანი გოგოა.

გ) ბანკში მხოლოდ ბუღალტრები არ მუშაობენ.

დ) არცერთ დიდ ქალაქში არ მუშაობს გრძელთმიანი გოგო.

2. მოცემულია:

- ყველა ვინც ფეხბურთს თამაშობს, იცის ცურვა.
- ყველა ვინც ცურავს, დადის სკოლაში.
- სკოლის მოსწავლეთაგან მხოლოდ ისინი არიან ფრიადოსნები, რომლებიც არ ცურავენ.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია მოცემული დებულების ტოლფასი:

- ა) ზოგიერთი ფეხბურთელი დადის სკოლაში.
- ბ) ყველა ის ფეხბურთელი, რომელიც დადის სკოლაში არ არის ფრიადოსანი.
- გ) ვინც არ არის მოცურავე არ არის ფრიადოსანი.
- დ) ფრიადოსანი მოსწავლეები, არ დადიან სკოლაში.

წინადადების შევსება:

ინსტრუქცია:
 ტესტის ამ ნაწილში მოცემულია წინადადებების ფრაგმენტი, რომელშიც გამოტოვებული ადგილები უნდა შეივსოს ოთხი სავარაუდო პასუხიდან ერთ-ერთით ისე, რომ წინადადება დასრულდეს და შინაარსობრივად გამართული იყოს.

ნიმუში
 სიტყვები შესაძლოა იყოს, ამიტომ იდეის გადმოსაცემად სიტყვის შერჩევა.

- ა) ერთი და იგივე მნიშვნელობის/ადვილია/ზუსტი
- ბ) ერთი და იგივე მნიშვნელობის/ძნელია/ბუნდოვანი
- გ) **სხვადასხვა მნიშვნელობის/ძნელია/ზუსტი**
- ა) სხვადასხვა მნიშვნელობის/ადვილია/ზუსტი

ნიმუშის ახსნა
 ამ დავალებაში „გ“ პასუხია სწორი, რადგან ეს წინადადება ლოგიკურად შეივსება შემდეგი წესით: სიტყვები შესაძლოა სხვადასხვა მნიშვნელობის იყოს, ამიტომ ძნელია იდეის გადმოსაცემად ზუსტი სიტყვის შერჩევა.

1. მკვლევარები კონცენტრირდებიან ინდივიდის საჭიროებაზე მიიღონ სტიმულაცია და გამოწვევა სამსახურიდან. მოტივაციაც და კმაყოფილებაც ძირითადად მიიღება სამუშაოს მახასიათებლებისა და მომუშავეის მოთხოვნილების ----- . ასევე მნიშვნელოვანია ინტერპერსონალური ურთიერთობები, რომელმაც შესაძლოა ----- ცვლადის ფუნქცია შეასრულოს სამუშაო დიზაინსა და ინდივიდის ----- შორის.

- ა) ურთიერთმორგებით/გამაშუალებელი/განწყობებს
- ბ) შეუთავსებლობით/გამაშუალებელი/განწყობებს
- გ) ურთიერთმორგებით/არაადეკვატური/სურვილებს

დ) შეთანხმებით/ნეგატიური/მოთხოვნებს

2. არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანებს აქვთ ----- ნიჭი გაყიდვების, რომ მათ შეუძლიათ გაყიდონ ----- გასალეხადი პროდუქტებიც კი, მაგალითად, მაცივარი ალიასკაზე. თუმცა, მეოცე საუკუნეში შეიცვალა შეხედულება და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ----- მახასიათებლები უფრო ნაკლებად არის კავშირში გასალეხის, გაყიდვების წარმატებასთან.

ა) ჩამოყალიბებული/ადვილად/პიროვნული

ბ) თანდაყოლილი/რთულად/პიროვნული

გ) წარმოქმნილი/რთულად/ფიზიკური

დ) შეძენილი/რთულად/ფიზიკური

სიტყვების ტესტი:

ინსტრუქცია:

„აღნიშნულ ნაწილში მოცემულია სიტყვების რიგი, რომელსაც ერთი სიტყვა აკლია (ეს სიტყვა ?-ის ნიშნით არის აღნიშნული). თქვენ უნდა განსაზღვროთ მოცემული ხუთი სიტყვა რა პრინციპით არის დალაგებული და კითხვის ნიშნიანი ადგილი აღნიშნული პრინციპის მიხედვით უნდა შეავსოთ.

ნიმუში

ავტომანქანა ძალღი მატარებელი ? თვითმფრინავი ქათამი

ა. ლომი

ბ. კატა

გ. გემი

დ. სპილო

ე. სატვირთო მანქანა

ნიმუშის განმარტება

როგორც ვხედავთ, ნიმუშში წარმოდგენილ სიტყვათა რიგში ერთმანეთს ენაცვლება სატრანსპორტო საშუალებები და შინაური ცხოველები (ფრინველები), მოცემული არის 3 სატრანსპორტო საშუალება და 2 შინაური ცხოველი/ფრინველი ე.ი. კითხვის ნიშნის ადგილას უნდა იყოს შინაური ცხოველი. ქვემოთ მოცემულ სავარაუდო პასუხებში კატა არის ერთადერთი შინაური ცხოველი, ამიტომაც "ბ" პასუხი არის სწორი.

1. ჩინეთი ირანი ინდოეთი იტალია გერმანია ?

ა) ბრაზილია

ბ) ვენესუელა

გ) ინგლისი

დ) მადაგასკარი

2. საავადმყოფო ექიმს სკოლა მასწავლებელი ციხე ?

ა) მოსწავლე

ბ) ექთანი

გ) ზედამხედველი

დ) საკანი

მათემატიკა:

ინსტრუქცია

აღნიშნულ ნაწილში მოცემული დავალებების შესასრულებლად საჭიროა მარტივი მათემატიკური გამოთვლების წარმოება. ასევე მოცემულია რიცხვთა მწკრივი, რომელიც გარკვეული პრინციპითაა დალაგებული. თქვენ უნდა განსაზღვროთ ეს პრინციპი და შემოთავაზებული მწკრივის დასრულება.

ნიმუში

7, 14, 28, 56 ?

ა) 84

ბ) 112

გ) 102

დ) 96

ნიმუშის განმარტება

როგორც ვხედავთ, მოცემულია რიცხვების რიგი, სადაც მომდევნო წევრი წინა წევრზე ორჯერ მეტია. აღნიშნული პრინციპის მიხედვით სწორი პასუხია „ბ“, რადგან $2 \cdot 56 = 112$

1. ცხრილში მოცემულია სამი კალათბურთის გუნდის მიერ საკუთარ მოედანზე მიღებული ანგარიშები.

გუნდის დასახელება	შეხვედრების რაოდენობა				
	I	II	III	IV	V
თსუ	32:22	40:22	33:38	42:15	16:30
რუსთავის “აზოტი”	20:16	18:18	25:16	45:42	48:59
“ვიტ-ჯორჯია”	35:15	59:60	45:47	22:22	36:40

რომელმა გუნდმა აჩვენა ყველაზე ცუდი შედეგი ხუთივე შეხვედრაში?

- ა) რუსთავი
- ბ) რუსთავის აზოტი და ვიტ-ჯორჯია
- გ) ვიტ-ჯორჯია
- დ) არც ერთი

2. მოცემულია რიცხვები 17, 23, 34, 26, 9 რას უდრის მათი საშუალო?

- ა) 21.8
- ბ) 21
- გ) 24
- დ) 22.8